საუმაწვილო ჟურნალი მსჩირეწლოვანთათვის

1919. მაისი და ივნისი №№ 5, 6, 7, 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1. რა უყოთ ახლა ამ პაწიას—სურ. 1
2. საიდუმლო სიყვარული,—ლექსი **დ. კასრაძისა**. . . 2
3. პატარა ტუსაღები,—**ცქვიტისა**. 3
4. ჯუჯუ; ჯუჯუ,—ლექსი **გ. ქუჩიშვილისა**. 8
5. თათო, ფათო, თოლია და კეკე—**დ. კასრაძისა**. . . . 9
6. პატარა მაგგის საიდუმლო,—ს. ჟ. ოლბრაიტისა, თარ. **ნ—ისა** 17
7. ნუციკოს სიხარული,—**ნინო ყორჩიბაშისა**. 21
8. კაჭკაჭი (ფრანგულით)—**ძველი მეგობრისა** 23
9. ვინ არის ადამიანის საუკ თესო მეგობარი (ინდოურის ზრაკი)—თარგ. **თ. კანდელაკისა** 25
10. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი (შემდეგი) თარგ. **კაკისა** 30
11. პატარა მეყვავილე,—ლექსი **მიმქრალისა** 37
12. გამოქცეულები,—**ი. მჭედლიშვილისა**. 39
13. დაიკარგა აქლემი,—(ხალხ. ზღაპარი) ჩაწერილი **სავლე აბულაძის** მიერ. 45
14. მკითხველების წერილები.— 47
15. გასართობი, რებუსი და აღსნა. 48

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ვუყოთ ახლა ამ პაწიას.

საიდუმლო სიყვარული.



ითხარ, თამრო, ვის არჩევდი:
ციცოსა, თუ დედოფალსა?
ნუ დამალავ და შეგაჯმევ
მურაბას და კოვზით თაფლსა.

დიდხანს იდგა თამრო ჩუმად,
ფიქრს მიეცა მეტად მძიმეს,
შემდეგ დედას ჩასჩურჩულებს
და თან ჭკინძავს ცრემლთა მძიმეებს:

— კარგი, გეტუკი, თუმცა, დედი,
ამისი თქმა მეძნელება...
ორივ მიყვარს... უიმათოდ
არ ვიცი რა მეშველება.

მაგრამ, თავსა შემოგეევლე,
რა დავმალო, რა დავფიცო?
მთელ ქვეყანას მირჩევნია
კრუტუნია ჩვენი ციცო.

მაგრამ, დედი, გენაცვლები,
ეს არ უთხრა დედოფალსა,
თორემ მიწყენს, გამებუტვის,
ხსამად მაქცევს შენს ტკბილს თაფლსა...

დ. კასრაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კატარა ტუსაღები

ერიერ სიდას საბზევედ ორ ურემ ძნას ულეწავ-დნენ. ჯერ კარგადაც არ გათენებულიეო, რომ სიდა ფაცა-ფუცით წამოდგა, ხუთ ბაწია შვილს საბნის მზგავსი რაღაც კონკები გაუსწორა, შე-შის საბობი კუნძი სულ უძცროს და ძუძუთა გოგოს ნაბირას მიუდო, რომ არ გადმოვარ-დნილიეო, და გარედ გამოვიდა. დავახშმებული მთვარე ცაზედ ისევ კაშკაშებდა. აღმოსავლეთით ცა ოდნავ შეფერადებულიეო და სიდას კარებზე მორაკრაკე მდი-ნარეში მინაზებული მთვარე და აწითლებული ცა ისე საუცხო-ოდ თრთოდნენ და ლაპლაპებდნენ, რომ უნებურად ადამიანს თვალს მოსტაცებდნენ. მაგრამ სიდამ თითქოს ვერც კი შეამ-ჩნია; წინ შეფეთებულ ძაღლს ერთი ხმა-ძაღლა წაუტია და იქვე საბძლის კარები შეაჭრიალა. საბძლიდან ორთითი და ფიჩხის ცოცხები გამოიტანა და წულისაკენ ბირის დასაბანად გაქანდა. ბირზე ორიოდ მუჭა წყალი შეისხა, თავშლის წვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიისვ-მოისვა, შემდეგ სახლისაკენ გამოტრიალდა, უშველებელი დაჟანგებული კლიტე დაადო და სოფლის ბოლოს კალოსაკენ გამოსწია.

მალე კიდეც გათენდა. სალხი ყველგან ამოძრავდა. გასარეკად მომზადებული ნახირი აქა-იქ აბღავლდა. მამლების ყივილი, ბიჭების სტვენა, საიდგანღაც მოსმენილი ურმული და წისქვილის ხმაურობა ერთმანეთში აირია და სოფელი გამხიარულდა. კარებ გამოკეტილ და ღვთისანაბარად დატოვებულ სახლში სიდას ძუძუთა, ახლად ფეხადგმულმა გოგომ თვალები გამოჭყიტა, ზეზე წამოჯდა, და-ძმებს აქეთ-იქით გადახედა და, რაკი დედა ვერსად დაინახა,—ფშრუკუნს მოჰყვა.

ცოტა ხნის შემდეგ ეს ფშრუკუნი ხმამაღალ ტირილად გადაიქცა, და უფროსი ძმა, შვიდი წლის სანდრა, ღრმა ძილიდან გამოარკვია. მან თავი წამოყო თუ არა და, რა დარწმუნდა, რომ დედა სახლში არ იყო, ჰაწია გოგოს ხელი მოხვია და დაყვავებით უთხრა:

—სუ, ნინო, დედა ახლავე მოვა და კაკებს მოგიტანს, ვენახში წავიდა, მსხალი და ატამი უნდა მოიტანოს.—მაგრამ ნინო იმის დაყვავებას ყურს არ უგდებდა; იმას ძუძუ უნდოდა და დედის დანახვა იმ წამს მთელი ქვეყნის კაკებს ერჩივნა. სანდრა ზეზე ადგა, კიდობანთან მიიჭრა, უშველებელ შავ კიდობანში ჯაბბაზიკით ჩაყირავდა, მაგრამ რაკი ხელს ერთი ლუკმა ჰურიც ვერ მოხვდა, ისიც ამრეზილი გამოტრიალდა და დიდი ადამიანივით დაიწუწუნა:—აბა, ახლა რა უნდა უყო, ჰური არ არის და რა ჭირით უნდა გავაჩუმო ეს გამოსაწყვეტი გოგო. რა ნაირი რამ არის ეს დედაჩემი, წავა და მარტოკა დაგვტოვებს სოლმე.

რაკი სანდრა უფროსი იყო, სიდა ეტყოდა სოლმე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—როცა მე სახლში არა ვარ, თვალები უნდა დაითხარო და შენ და-ძმებს ეური უნდა უგდო და მოუაროო.

ისიც მუდამ ამ გვარ შემთხვევაში რაღაც მოუსვენარ მოვალეობას ჰგრძნობდა ბავშვების წინაშე და ისე უალერსებდა, ისე ეხვეწებოდა არ იტიროთ—დედა გამიჯავრდებაო, რომ ბევრჯერ მეტი ხვეწნით გული ეღლებოდა. ახლაც, რაკი გოგო ვერ დაახუმა, ვერც ჰური უშოვა, სანდრა ისე შეწუხდა, რომ იმასაც სატირლად გული აუხუედა.

—სუ, შენ გენაცვალე, სუ, თავშემოგევლე, დედა ახლავე მოვა, ნუ ტირი. თორემ მეც ვიტირებ.—ამით ვითომ აშინებდა, მაგრამ ამ წამს თვითონ უფრო გულამომჯდარი ტიროდა. იმათ ტირილზე ახლა დანარჩენმა სამმა ბავშვმა გამოიღვიძეს, და ისინი რაღას მოხელენი იყვნენ, რომ კარდაკეტილებს და მშივრებს ჰირები არ დაეღოთ და არ აღრიალებულიყვნენ. მაგრამ იმათი ტირილი კი სულ სანდრას ბრალი იყო: ის ისე გულ-მტკივნულად ტიროდა, თან ახლად გამოღვიძებულ ბავშვებს ისეთი კილოთი ეხვეწებოდა, თქვენ მაინც ნუ იტირებთო, დედას კარები დაუკეტია და კალოზე წასულაო, რომ მალიანაც რომ არ სდომოდათ ტირილი, უსათუოდ ატირდებოდნენ. ყველაზე დიდი სათაბალა-კი ის იყო, რომ სახლში დაბმული ბოჩოლაც თითქოს მათ აჰყვაო, ერთი იმისთანა ბღავილი გააბა, რომ ყველას გადააჯარბა. ახლა ზედ დატანებაზე ის შეჩვენებული თოვლაც რკინის ფანჯრებს გარედან ტოტებით ამოსწდომოდა და განუერელ მეგობრების ვაი-ვაგლახზე ისე წკმუტუნებდა, თითქოს ანუგეშებსო.

ამ ხმაურობაზე აკი სანდრას გაჯავრებულ ამხანაგ ნიკლას ჩამოყვლო და ეს შეისევანი და თავში ცემა რომ გაეგო და თანაც გარედან დაკეტილ კარებისათვის თვალი რომ მოეკრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღეზიანებული ფანჯარასთან მისულიეო და ხარხარით შესძახოდა:

— ჰე, ვენაცვალე ღმერთს, რა გეგონა, ბიჭო, განა გუშინდელი კიტრების მოპარვა შეგრჩებოდა? ჩაგამწყვდიეს ციხეში თუ არა!.. ერთი დახე, მარო, თავი ფანჯრიდან როგორ გამოუყვია, ნამდვილ ტუსაღს არა ჰგავს. შვილო, რამდენი წლითა ხარ დატუსაღებული?... ხა, ხა, ხა, დახე სიდას კაი „კომისარიეთ“ თავისი შვილები როგორ დაუმწყვდევია... კვდებოდა ნიკლა სიცილით და ფანჯარიდან კარებს რომ მივარდებოდა, კლიტეს ისე ძლიერ აჩხარუნებდა, რომ ბავშვებს უარესად გული უსკდებოდათ. შემდეგ ისევ ფანჯარასთან მიიჯრებოდა და ჰირღაღებული მტირალთ ენას უოფდა და ისე იღრიჯებოდა, რომ ბავშვები ძალზე იშაჯებოდნენ. მეტადრე შუათანა გოგო იმის დაღრეჯაზე ისე ძლიერ ჩხაოდა, მეზობლებს რომ დროზე არ მოესწრებინათ, სწორედ თავის სარქველი ავარდებოდა. ყველაზე უწინ ეს ამბავი კარის მეზობელმა მათამ შეიტყო. ის იყო ახლად ამდგარს თონიდან ჩათუთქული ტყემალი ამოეღო და იმის გასახეხად ცხრილისათვის საბძლისაკენ რომ გამოტრიალებულიეო, ეს შეისევანი შემოსმოდა და გულგახეთქილი სიდას სახლისაკენ გამოქანებულიეო.

— რა იყო, სანდრა, ცეცხლი ხომ არ წაგეკიდათ, ეგრე რამ დაგაფორიაქათ?...— შორიდანვე იკითხა შეშინებულმა, თან მარდათ კალთა წამიიკრიფა და ყელებ-წაჭრილ ბრაგუნა წაღებით ისე ძლიერ გამოიქცა, რომ წაბორძიკებულმა კინაღამ ცხვირ-პირი ჩაიმტვრია.

— ჯოჯორტელი ქურდებივით დედას კარდაკეტილში გამოუმწყვდევია, თვითონ კალოზე წასულა და ესენი იმიტომ ღრიალებენ... ხარხარით უპასუხა მაჯავრელა ნიკლამ და თან დაუმატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი შესედე, შესედე მათიკო, ი გოგოს მეტი ღრიალით მუცელი ციკნის ტიკჭორასავით რა რიგ გამოჭბერვია...

მათიკო ფანჯარასთან მივიდა, სანდრას დაუტია, იქით გააგდო და, სანამ ბავშვებს ორიოდ დასამშვიდებელ სიტყვას ეტყოდა, სხვა მეზობლებმაც ერთ წამს თავი იქ მოიყარეს.

გულამოსკვნილ ბავშვებს ზოგი პურს აწვდიდა და იმითი აშოშმინებდა, ზოგი კიტრს სთავაზობდა, ზოგსაც ეს ამბავი დილა ადრიან გულ-მოსაფსან სალაპარაკო მასალად გახდომოდათ და იქვე ბავშვებთან ათასჯერ მეს-დაერილ სიდას ვინ იცის კიდევ რას არ უთვლიდნენ.

გულიტაანთ მაროსაც ერთი კალთა, ასლად აკრეფილი, კალოს მსხალი მოეტანა, მუჭა-მუჭა უერიდა და თან ეუბნებოდა:

— სუთ, ბიჭო, რა გატირებთ, დედა კალოს გაშლის და მალე მოვა. მანამდისინ კი ნუ მოიწყენთ, აჭა, არიქა, აბა ვინ უფრო ბევრს აჭკრეფს...

მართლაც ტახტზე მოფენილ მსხლებს ბავშვები სისარულით მისცვივნდნენ და მწუსარების კილო ასლა მხიარულ ჟრიამულად შეეცვალათ.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ, ტირილისაგან სმა-ჩასლეწილი ნინო დაჟინებით გაიძახოდა:

— არა, არა, არიფანა გავაჩინოთ, არიფანა ეველას სჯობიაო,— და თან, გახარებული, სუფრად დედის შემჭვარტლულ ხილაბანდს შლიდა. არ გასულა ერთი წუთიც-კარ-გადმოკეტილ სასლიდან იმ ღრიანცელის მაგივრად ასლა სხვადასხვა ხმაზე აწკრიალებული პატარა ტუსაღების მრავალ-ჟამიერ ისმოდა.

გარედან ჰირ-მოქუშული და უშველებელი კლიტე კი ამ ხმაზე უფრო ძლიერ იბღვირებოდა.

ცქვიტი.

ჯუჯუ, ჯუჯუ!

უჯუ, ჯუჯუ, წიწილებო,
მოიყარეთ ყველამ თავი,—
წივწივით და ტკბილ ჭუკჭუკით
ჭკენკეთ თქვენი საკენკავი!

ერთი, ორი, სამი, ოთხი...
ქა! მესუთე არ მოსულა!
უი, დამიდგეს თვალები,—
ნეტავი სად დაკარგულა?!

ჯეჯუ, ჯუჯუ, ლამაზებო,
მოიყარეთ ყველამ თავი;
თანხმობით და ტკბილ ჭუკჭუკით
ჭკენკეთ თქვენი საკენკავი!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თათო, ფათო, თოლა
და
კ ე კ ე

ოთხივე მეგობრები იყვნენ. ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. ერთადა სვამდნენ, ერთადა ჭამდნენ, ერთად ეძინათ. თუმცა სიფხიზლეში კეკეს მეგობრები სჯობნიდნენ, მაგრამ ადგომაში ყველანი თანაბარი ზარმაცები იყვნენ. ფეხსაც არ გაანძრევდნენ, სანამ მზე კარგად არ ამოვიდოდა.

—ადექი, კეკე, გენაცვალოს დედა!—ერთი ათჯერ მაინც უნდა ეთქვა კეკეს დედას, რომ გაეღვიძებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თვალს გაახელდა კეკე და წამოიშმუშნებოდა, გაიღვიძებდა თათო, გაიღვიძებდა ფათოც, შემდეგ წამოიზლაზნებოდა თოლაც და ეურების ბარტეუნით და კუდის ქიცინით ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა; შემდეგ შემოეხვეოდნენ თავიანთ დობილს, რომელიც ჰირის დასაბანად მიჰყავდათ. კეკეს არ უყვარდა ჰირის დაბანვა, უკვირდა კიდეც, თუ კი ჩემი მეგობრები არ იბანენ ჰირს, მე რაღად მეჭირვებაო; მაგრამ რას იზამდა, უნდა დაებანა, რომ ჩქარა ნაღებიანი ჩაი არ გასცივებოდა. დაჯდებოდა ჩაის დასალევად და მეგობრებიც იქვე მოუსხდებოდნენ. მალე არიფანა გაჩაღდებოდა. გაძღებოდნენ და ოთხთავენი ბაღჩაში გარბოდნენ სათამაშოდ, რომ სირბილით ბუჩქები და ღობე-ეორე გადაენგრიათ.

*
* *

მეგობრობით ხომ ყველანი მეგობრები იყვნენ და ძალიანაც უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მალე მათს შორის შავმა კატამ გაირბინა. აი საქმე როგორ იყო:

კეკეს დედამ ქალაქიდან მშვენიერი ტიკინი მოუტანა. ტიკინი იყო მაგრამ როგორი ტიკინი! თითქმის კეკეს ხელა! ლამაზი თმიანი, წითელ ლოყებიანი, ჭრელ კაბიანი, კოხტა ფეხებიანი, ლურჯ თვალება და გრძელი მოძრავი ხელებიანი. მერე როგორი ჭკვიანი იყო! მოჭიდებდა ხელს, გაიყვლიდა; უნდოდა „დედას“ დაიძახებდა, უნდოდა „მამას“ დაიძახებდა. დააწვენდა, თვალებს დაჭუჭყავდა და დაიძინებდა; ააყენებდა, თვალებს გაახელდა და გაიღვიძებდა. რაღა თქმა უნდა, კეკეს სიხარულიც ეს იქნებოდა. იმ დღესვე ნათლობა გადაუხადა და ტიკინს შვილიკო დაარქვა. ეს იყო და ეს: ამიერიდან მას გული აუცრუვდა ძველ მეგობრებზე, აღარც თათო, აღარც ფათო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც თოლა. მათ მაგიერ არიფანაზე ახლა შვილიკოს ჭკვატიკობდა, იმას აჭმევდა, იმას ასმევდა, იმასთან ერთად დარბოდა, იმასთანვე იძინებდა. ან და სხვა რალა უნდოდა: შვილიკოზე უკეთეს მეგობარს მნელად თუ სადმე იპოვნიდა.

*
* *

ეს ხომ ასე იყო, მაგრამ სხვანაირად ჭფიქრობდნენ მეელი მეგობრები.

— ეს ვინ მოიყვანა, რა ვქნა? თუ არ ჩამოვიშორეთ, ცუდათაა ჩვენი საქმე.

— უნდა ჩამოვიშოროთ, მაშა!

— შემირცხვეს ულვაშები, თუ კბილებით სულ არ დაგვლიჯო!

— მეც მოგეშველები, თოლა...

— მეც... მეც...

— ჭო და სულ ერთიანად დავფლითოთ...

— ჯავრი ვიყაროთ, ცოცხალი აღარ გაუშვათ ის ვიღაც შვილიკოა...

— ეგ კარგი, მაგრამ როგორ ჩავიგდოთ ხელში?

— მოვპაროთ...

— მოვტაცოთ...

— ვერ მოვტაცებთ, გვცემს...

— ვერა, ბიჭო, ვერ გვაჯობებს...

— მე ფეხებში ვეცემი და სარმას წამოვუდებ...

აიღეს, დაიღეს და მტკიცე ფიცით გადასწყვიტეს ერთად ემოქმედათ და როგორმე ჩამოეშორებინათ, ვინც მათი ადგილი დაიჭირა.

— გაუმარჯოს ჩვენს ერთობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

შესძახეს ერთხმად, როცა შეთქმულობა დაასრულეს და საიდუმლოდ დაიფანტნენ უდიდეს შურის საძიებლად.

*
* *

კეკემ გულიანად ავახშმა შვილიკო და დიდის ხალისით ჩაიწვინა ლოგინში. ჭკოცნიდა, გულზე იხუტებდა, ტკბილი ზღაპრებით აძინებდა: იძინე, ჩემო კარგო, იძინე... რუ-რუ-რუ-რუ!... ნანა, ნანინა, ნანაო, ძილი და გასარებაო!... დაიძინე და კარგ სიზმრებსა ნახავ, აი... წუხელის აკი გითხარი, რა კარგი რამე დამესიზმრა: სულ ოქროს ჩიტუნიები დაგვფრენდნენ თავზე... განა შენ კი რა ნახე, ვენაცვალე?... თვალი კი დაუდგეთ თათო, ფათოსა! ისინი რა ჩვენი ტოლები არიან, რომ კუდის ქიცინით ჩვენთან მოდიან სათამაშოდ... დაიკარგონ, დაიკარგონ... ნანა... ჩუ... ნანა... ნანინა!...

ასე ეტიტინებოდა კეკე თავის დედოფალას და ვერცა-კი შენიშნა, რომ ამ დროს შეთქმულნი სამი მხრით მიჭვარვოდნენ:

— გვაცადეთ, გვაცადეთ და მშვიდობის დილას გაგითეონებთ! ერთი თვალი მოჭუჭეთ, და ჩვენ ვიცათ, რა ოქროს ჩიტებსაც დაგაჭერინებთ!...

ხომ ასე დაემუქრნენ, მაგრამ კეკეზე ადრე თვითონვე ხვრინვა ამოუშვეს.

*
* *

მხოლოდ გათენებისას შენიშნა თოლამ, რომ მის ძამიებსაც ჩასძინებიათ:

— ადექით, ხალხო, ადექით, თორემ დავგვიანდით!...

თათის კვრით ძლივს დააღვიძა. თვალები როცა მოიფშვნიტეს, მაშინ მოაგონდათ, რისთვისაც ჩასაფრდნენ. გაუსარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, რომ კეკე გულის მილში იყო. ის კი არ ესიამოვნათ, რომ წყეული დედოფალა გულში ჩაეკრა. თოლა რის ვაი-ვაგლახით მიეპარა, საბანს დიდი სიფრთხილით გადაუწია ხირი და ხაწია კბილებით შეეცადა დედოფალას გამოძრობას, მაგრამ მეორეც ვერ უყო.

— მომეხმარეთ, ბიჭებო, მომეხმარეთ, თორემ მარტო ვერაფერს ვერა ვხდები... აბა ჭა, ფათო, თათო! რას აკეთებთ, რა ვქნა, მანდ რას უდგეხართ?

ისინიც წამოდგნენ და ძმას მიეშველნენ. თათომ თოლას წაავლო კუდში, ფათომ თათო გამოსწია. თოლას ემწვავა კუდი, სიმწარისაგან გულიანად შეჰღრინა კიდეც, მაგრამ დედოფალას მაინც კბილი არ გაუშვა.

— აბა ჭა, მარჯვეთ... გასწით ცოტაც... ცოტაც... კიდევ... ერთი კიდევ!..

იმახოდა გამწარებული თოლა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ებღაუჭებოდა ტიკინს. აი, ერთი გაბრძოლებაც, და ტიკინი მოიტაცეს.

— გაუმარჯოს!

— აბა, ბიჭებო, ეზოსკენ მოუსვათ!

— ეზოსკენ! ეზოსკენ!..

სამთავე ეზოსკენ გაიქცნენ კეკეს შვილიკოს დასაფლეთად. ეშინოდათ კეკეს არ წამოესწრო და ხელიდან არ გაეგდებინებინა ამდენი ტანჯვით ნაგაგლახევი...

*
* *

შეთქმულებს შიში გაუმართლდათ. კეკემ უცრიგ თვალები გააჭყიტა და უმალვე მიხვდა, რომ რაღაც უბედურება დატრიალდა?

— შვილიკო! შვილიკო! ვაიმე... ვაი შენს დედას... შენს დედიკოს!..

წამოსტა. ჰერანგის ანაბარად გამოეკიდა. კარებში თვალები შეასწრო, როგორ ქურდული სიჩქარით მიტუსტუსებდნენ მისი ვერაგი მეგობრები.

— სად მიგეავთ, სადა? მომეცით!.. მომეცით!..

— არიქათ, ბიჭებო, მოგვეწია... ჩქარა, ჩქარა... დროს ნუ დაეკარგავთ!..

დაუმახა თოლამ ფათოს და თათოს. თვითონ კარებში შედგა, კეკესთვის გზა გადაეღობნა.

— სად მიბმანდები, ქალბატონო!

თანაც გულმა ბაგა-ბუგი დაუწეო, როცა კეკეს ხელში გახდილი ფესსაცმელი დაინახა.

— მომეცა, თოლა, თორემ უცემი არ გადამრჩები.—

— ღრრ, ღრრ! გამეცა მეთქი! შენ კაი ქალი და მე ცუდი ცუგო! ღრრრ!..

— ორთავე შესდგნენ, ერთმანეთს შეუბღვირეს, თუმცა ორთავეს ერთმანეთისა ეშინოდათ.

როგორც იეო, კეკემ გადასდგა კარებისკენ ფრთხილი ნაბიჯი, მაგრამ თოლამ შეჭეეფა კანჭებში, კბილებით გაჭკაწრა და თათით სარმა წამოსდო. კეკეს იმდენი არა ეტკინა რა, რამდენადაც შიშისგან შეჭღრიალა. თოლასაც ეგონა, ეგ არის, მაჯობა და რისსვის ქარ-ცეცხლი გადმოაყარაო და ეზოსკენ მოჭკურცხლა რაც ძალი და ღონე ჭქონდა.

— რა ჭქენით, ბიჭებო, ოდის... მოდის... უშველებელი ფესსაცმელი უჭირავს და სულ გვერდებს ჩაგვილეწავს.

— აბა, მოდი, შენც, მოგვეშველე, შენც...—სიჩქარით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდნენ რა ექნათ. ამასობაში კეკეც გამოვიდა. რომ დაენახა მისი „შვილიკო“ უკანასკნელ დღეში, თავში შემოიკრა და ფეხების ტუაპუნით შეჰღრიალა:

— ვაიმე, ვაიმე!.. მიშველეთ... შვილიკო მომიკლეს ამ საძაგლებმა... ვაიმე!..

იქვე ინდოური იდგა, აფხვერით; მხოლოდ ის იყო კეკეს საცოდავობის მოწმე და თანაგრძნობის ნიშნად რუკრუკებდა.

*
* *

შეთქმულნი ერთის ამბით აჩქარებდნენ ტიკინის დაფლეთვას.

— ღრრრ... გაჰკა, თათო!..

— ღრრრ, გაჰკა ფათო!..

— ღრრ... გაჰკა თოლა...

აქეზებდნენ ერთიერთმანეთს. ბოლოს მაგრად ჩაეჭიდნენ და სამი მხრით მთელის ძალღონით დაიწყეს წევა.

— ჭრრრ!.. ჭრრრ!.. ჭრრრ!.. ფხრაწ!.. ფხრაწ!..

ტიკინი დაიფხრიწა, მაგრამ ის თქვენს მტერს, რაც შეთქმულებს დაემართათ: სამთავენი ჰირუკუღმა ჰაერში გადატრიალდნენ და სათანადო სასჯელიც მიიღეს: თოლა წუმპეში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგორდა და ჩურჩხელასავით ამოეკვლო; თათო ღორების სალაფავით სავსე გეჯაში ჩავარდა და საცოდავად აწმუკუნდა, ხოლო ფათო ჰატარა რუში გადაეირავდა და კარგა ეურეუმელაობის შემდეგ ძლივს ამოაღწია ნაპირზე.

— ჰე! ჰე! ჰე! ვენაცვალე ღმერთსა! მოგხვდათ, თუ არა!— შესძახა კეკემ ნიშნის მოგებით. მშვენიერმა სანახაობამ გული მოუბრუნა და სიხარულით მოჰყვა ხტუნაობას:

— აგრე, აგრე! ჰე! ბზზზ!.. მოგხვდათ!.. ვენაცვალე ღმერთსა, მოგხვდათ!.. ბზზ... ჰე! ჰე! ჰე!..

მისმა სიცილმა საბოლოოდ გონს მოიყვანა შეთქმულნი და ღრენით წაიბუტბუტეს:

— რა აცინებს ამ ეშმაკს? განა უბედურებაზე დასცინიან?

— ალალო და სამართალო! ეგრე უნდა, მაშ! მოგხვდათ! ჰე! ჰე! ჰე!

თითქმის სამი დღე შემოძწურალნი თვალს არ უსწორებდნენ კეკეს, რომელიც ნიშნის მოგებას არ იშლიდა. მხოლოდ მეოთხე დღეს შერიგდნენ ძველი მეგობრები, რადგანაც ბუტიაობამ და მარტოობაში ბუზღუნმა თანაბრად გული გაუწყალათ. ამ დღისათვის შესანიშნავი არიფანა გადაისადეს და ბევრი რძე და ნაღებიც მიირთვეს შერიგების აღსანიშნავად...

დ. კასრაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა მაგვის საიდუმლო.

მოთხრობა სარა ჟოზეფინა ოლბრაიტისა.

(თარგმანი).

ბატონი და ქალბატონი სკვიკი ორი პატარა ნაცარა თაგვები იყვნენ და ცხოვრობდნენ სარდაფში, დიდ, ცარიელ ეუთის კუთხეში. ერთხელ დილით ბატონი სკვიკი ნელანელა აცოცდა კიბეზე: უნდოდა სამზარეულოში ცოტა პური და ყველი ეშოვნა.

სუ! ვიდაც ლაპარაკობს...—ბატონი სკვიკი მიიმალა ცოცხის ქვეშ და, რაც შეეძლო, გაინაბა!

პატარა ბიჭი ჯონი თავის პატარა დაიას ელაპარაკებოდა. ხელში დიდი ჩაქუჩი და ხერხი ეჭირა.

— მაგვი, ის დიდი ეუთი, სარდაფში რომ არის, ჩემი აზრით დედოფალას სასახლედ გამოდგება. მე იმას პატარა აივანს გაუკეთებ და ზევითა და ქვევითა სართულად გავყოფ; კარგი?—ეკითხებოდა ჯონი.

— ოჰ, ჯონ, რა კარგი იქნება!—მიუგო მაგვიმ.—მეც რამეს გაგიკეთებ სამაგიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ. გინდა, გინდა მთელი ფიცარი სპილოები დაგისატო, და უეურე, რამდენიც გენებოს.

ბავშვები ხელი-ხელ-ჩაკიდებულნი გაემართნენ სარდაფში.

ბატონი სკვიკი კი შეშინებული გაიქცა შინ და ცოტათი გაასწრო ბავშვებს.

— ჩემო ძვირფასო,—წასჩურჩულა თავის მეუღლეს ბატონმა სკვიკმა,—იმათ სურთ გასტეხონ ჩვენი სახლი დიდი ჩაქუჩით და ხერხით, უნდათ იმისაგან დედოფალას სასახლე გააკეთონ. აბა! გავიქცეთ, ჩქარა!

საბრალო ქალბატონმა სკვიკმა ტირილი დაიწყო.

— სად უნდა წავიდეთ!—ჩურჩულებდა ის.—მე ისე მეშინია ეველაფრის, ეველგან ის საშინელი მახეებია, ეველგან ხიფათი. ახლა რა დაუშავეთ?

მაგრამ დახანება აღარ შეიძლებოდა და გაიქცნენ სარდაფის შორეულ, უფრო ჩაბნელებულ კუთხეში.

აი, რაღაც ნახვრეტი! მაშინვე ჩაძვრნენ შიგ. რა მშვენიერი ბინა აღმოჩნდა! ბატონ და ქალბატონ სკვიკის სიხარულს

საზღვარი არა ჰქონდა. უბედურებას გადარჩნენ და უწინდელზე უკეთესადაც მოიკალათეს. აბა, იფიქრეთ, სად ამოჰყოფს თავი? სწორედ ძველ წალაში. ნახვრეტი, საიდანაც ისინი შეძვრნენ, წალის წვერში იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პატარა მშვენიერი კარის მაგიერობას სწევდა. ცოტათი ზევით კი მეორე პატარა ნახვრეტი იყო, თითქოს ფანჯარაა: იქიდან ცქერა შეიძლებოდა.

— ეს რა საუცხოო, მშვენიერი და თბილი პატარა სახლია,—სთქვა ქალბატონმა სკვიკმა.—მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ ვერასოდეს ვერავინ ვერ მოგვაგნებს!

და გაჩაღდა ახალ სახლში მხიარული, მეუდრო ცხოვრება. ჩქარა იმათი ოჯახი გაივსო მთელი გროვა პატარა ვარდისფერი, ბრმა თაგუნებით. დედ-მამა ძალიან გახარებულნი იყვნენ და ამაყობდნენ თავიანთი შვილებით.

პაწია ვარდისფერ თაგუნებს შეეძლოთ მხოლოდ თქმა: „სკვიკ! სკვიკ!“ უმწეოდ ემებდნენ რაღაცას პაწია დინგებით და იმალებოდნენ თავიანთ რბილ, თბილ საგებებში. მაგრამ დრო მიდიოდა, პაწიები იზრდებოდნენ, თვალები აეხილათ, და ახლა ხშირად გამოდიოდნენ თავიანთ პაწია სახლის პაწია-კარებში—ნახვრეტში.

ერთხელ თაგუნები როგორღაც გამოძვრნენ სასეირნოდ; ქალბატონი სკვიკი კი იჯდა კარებთან და იმათ თვალ-ყურს ადევნებდა. ბატონი სკვიკი არ იყო სახლში, ოჯახისათვის ვახშმის საშოვრად წაეიდა.

უცებ სარდაფში შემოვიდა მაგგი და რაღასთვისაც გაიქცა შორეულ, ბნელ კუთხეში. როგორ შეეშინდა საბრალო დედას!

მაშინვე აცნობა თავის შვილებს, და თაგუნებიც ერთ წამს სედი-სედ შეცვივდნენ წაღაში. მაგრამ გვიანღა იყო! მაგგიმ შეამჩნია ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაწია თაგუნაც და შეშინებული დედა-თაგვის ბაწია დინგიც. მაგვი უცებ შეჩერდა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ნუ გეშინიათ საუვარელო თაგუნებო! მე არასოდეს, არასოდეს არავის არ ვეტევი, სად ცხოვრობთ. ჯონსაც არ შევატყობინებ და, რასაკვირველია, ჩემ კატუნიასაც ხომ არ გაუმხელ. ეს ჩემი საიდუმლო იქნება.

და არავის, მაგვის მეტს, არ შეუტევია, რომ ბატონი და ქალბატონი სკვიკი და იმათი ბაწია ვარდისფერი შვილები ძველ დაგლეჯილ წალაშიც ხოვრობდნენ.

ნ.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუციკოს სიხარული

ატარა ნუციკო ძლიერ სუსტი აგებულებისა და მეტად ფერმკრთალი და ნაზი იყო. ავადმყოფობის შემდეგ ხომ სულ დასუსტდა, ისე რომ სიარულიც კი უძნელდებოდა. ექიმებმა ურჩიეს ნუციკოს მშობლებს ბავშვის ზღვის ჰირას წაუვანა. ნუციკო ზღვის ჰირად მისვლისათანავე მეტად გაოცდა. მოელვარე ზღვის სიერცე ცის ზღუდეს წააგავდა. ტალღები ალერსით და მსიარული ცქრიალით მიილტვოდნენ ნაპირისაკენ. ნაპირი კი მთლად დაფარული იყო ლამაზი კენჭებით და ფხვიერი ქვიშით. მრავალი ბავშვები თამაშობდნენ ნაპირზე. ნუციკო ფანჯარასთან იჯდა და თვალს არ აშორებდა მის წინ გადაშლილ სურათს. ყოველივე იზიდავდა მას თავისკენ, და ნუციკოს კი არ შეეძლო გაერბინა ზღვის ნაპირზე, მოეკრიბა ლამაზი კენჭები, ხელი გაერია თბილს და ფხვიერს ქვიშაში.

ნუციკოს თვალები ცრემლებით აევსო. ჰატარა გულზე თითქოს რაღაც მძიმედ დაწვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ნეტავი კეთილი ფერიები კიდევ იყვნენ ქვეყანად! — ამოიოხრა ვაწიამ.

ხშირად მშობლები ხდებიან კეთილ ფერიებად.

ნუციკოს დედა კარგად ჭსედავდა, თუ რა რიგ უნდოდა მის გოგონას ზღვის ნაპირას გასვლა, მისი ახლოს ცქერით დატკბობა, ბავშვებში გარევა.

მეორე დღეს, ის იყო ნუციკომ გაახილა თვალები, რომ დედამ ფარდა გასწია ფანჯარაზე, რომელიც ეზოში გადიოდა. ნუციკომ აღტაცებით დაჭერა ტაში.

ეზოში იდგა მშვენიერი ვატარა ეტლი, და შიგ დიდი, ლამაზი თეთრი თხა იყო შებმული. ნუციკოს სიხარულს საზღვარი არა ჭქონდა. ვაწია ავადმყოფ და სუსტს ფეხებს რომ შესძლებოდათ, გოგონა რასაკვირველია თვითონ გაცქერიალდებოდა გარედ. ახლა კი თეთრი კაბა ჩაცვა დედამ, და უფროსმა ძმამ ხელში აყვანილი გაიყვანა გარედ, ჩასვა ეტლში და თვითონვე მიაწოდა ნუციკოს თასმები.

ამ დღიდან ნუციკოს მუდამ ნაღვლიან სახეს ღიმილის შუქი აღარ მოჭშორებია: იგი ეოველდღე დასეირნობდა თავის ვატარა ეტლით და მხიარულად ატარებდა დროს ვატარა ბავშვებს შორის, რომელნიც დიდის სიამით ეგებებოდნენ და ეხვეოდნენ ვატარა ავადმყოფ გოგონას.

ნ. ყორჩიბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაჭკაჭი

(ფრანგულით)

ერთი ბიჭი უვლიდა ისეის ჭუჭულებს რაკი დედა ადარ ჰყვანდათ, თვითონ გალალავდა ხოლმე საჭუმპალოდ ჰატარა ტბორეში, რომელიც ორასი ნაბიჯით ჰშორავდა სახლსა.

იმ ბიჭს ჰყვანდა აგრეთვე ერთი კაჭკაჭიც, რომელიც ჰატრონს თან დასდევდა, განსაკუთრებით იმ ტბორებზე. იქ ტირიფის ხის შტოზე ჩამომჯდარი თვალს არ აშორებდა ჰატარა ობლებსა. როცა შინ დაბრუნების დრო მოვიდოდა, ისიც თავისი ჰატრონის მიბაძვით ფუსფუსებდა, გარშემო უვლიდა წყალს, რომ ჭუჭულები გამოესხა. მერმე უკან გამოჰყვებოდა, თვალეური ეჭირა და ნისკარტის მაგრა ცემით აიძულებდა კვალს არ დაშორებოდნენ და ჩქარა ევლოთ, რომ შინ დროზე მოსულიყვნენ.

ის ბიჭი ხანდახან შეხვდებოდა სკოლის ამხანაგს, დადგებოდა ჰატარა ხანს, რომ ეთამაშნა, ან ელაპარაკნა. კაჭკაჭი ამაში საქმეს იორკეცებდა, რომ ნისკარტის ცემით და ჩხავილით შემოელალა ისინი ეზოში.

ერთხელ ჭუჭულების ჰატრონი ბიჭი ავად გახდა და ვეღარ გაუძღვა ჭუჭულებს თავის დროზე. კაჭკაჭი სწუხდა, განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა სამზარეულოსა და ეზოში და ჩვეულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივზე უფრო ჭღელავდა და ჩხაოდა, მაგრამ ამაოდ: კაცი არ იყო, რომ წაესხა ისვის ჭუჭულები. მაშინ მარტომ თავს იდო მათი წასხმა ტბორეზე და გულით უმადლოდა დედაკაცს, რომელმაც ის საქმე მიანდო.

კაჭკაჭი თავის მოვალეობას გონივრულად და თავდადებით ასრულებდა და თითქოს თავიც მოსწონდა. თუ კატა, ან ძაღლი მივიდოდა მის გუნდთან, თვალებში ეცემოდა.

ამასობაში ჭუჭულები დაიზარდნენ და დასუქდნენ. მზარეულმა ხელი გაუსო და ეოველ კვირა ამცირებდა მათ რიცხვსა. კაჭკაჭს მაინც მიჭვევანდა დარჩენილები საჭუმპალოდ, და გულმოდგინება ბოლომდე გაჭვა, თუმცა მწუხარება ემჩნეოდა. ბოლოს უკანასკნელი იხვიც ჩაასაკლავა მზვარეულმა, მაგრამ კაჭკაჭმა დაინახა თუ არა, მორთო საძწუხარო ჩხავილი და გაიქცა ტბეში, საიდანაც დაბრუნებული აღარავის უნახავს.

ძველი მეგობარი.



ვინ არის ადამიანის საუკეთესო მეგობარი.

(ინდოური არაკი).

ცხოვრობდა ფენჯაბაში ქვრივი მანდილოსანი მცირე წლოვანი ვაჟით, რომელსაც ერქვა სუდგამი. ის იყო დედის თვალის ჩინი, გულის ვარდი და მარად საფიქრებელი, თუ როგორი აღზრდა მიეცა, რომ გამოსულიყო მამის ღირსეული მემკვიდრე.

შინ რომ დარჩეს, ჩემთან,—დედაკაცის ხასიათი და ჭკუა გონება გამოუვება, და ამიტომ უმჯობესი იქნება მამის მეგობრებთან გავგზავნო შორეულ მხარეს გასაწრთვნელად, რამდენადაც საამწუხარო უნდა იყვეს ჩემთვის მისი მოშორება,—ამბობდა დედა

დედის ასეთი გადაწყვეტილებით სუდგამი ცას დაეწია, თუმცა მასაც არა ნაკლებ უყვარდა, დედა და მისი მოშორება არა ნაკლებ ეძძიმებოდა.

ახლა კი ვეღირსე თავისუფლებას და ქვეყნიერების ნახვასაო,—გამხიარულდა სუდგამი და სახე ცეცხლივით აენთო.

გაამგზავრა დედამ შვილი ქმრის ნათესავებთან ლოცვა-კურთხევით, გაატანა ტყავის ჰარკით სამასი ვერცხლი და შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკი დარიგება:—ისწავლე, შვილო, ისწავლე, გენაცვალე, რომ შეიქმნე მამულისშვილი; გაუფთხილდი ფულს, რომ გეყოს აუცილებელ საჭიროებისათვის და გახსოვდეს, რომ შენი დაბრუნების მოლოდინი ისე ექნება დედა შენს, როგორც მხვნელ-მთესველი მკის ვადას მოელისო...

გაზაფხული იყო. ნორჩ ჯეჯილს ნიავი ზღვასავით აღელვებდა. მერცხლები ცის კამარაში დაფრინავდნენ და სიამოვნებით ჟღურტულობდნენ; შინაური ფრინველები კარ-მიდამოს მოსდებოდნენ და გულ მოდგინედ ნადირობდნენ, ოთხფეხი წვრილ-ფეხობა მინდორ-ველზე კუნტრუშობდა. ნაძვთა გრილ ჩრდილოს ნადირნი შეფარებოდნენ და მხიარულის სილაღით ნებივრობდნენ...

ამ სანეტარო თავისუფლებას, სილაღესა და სიხარულს მოკლებული იყო მხოლოდ ერთი რუხი, გრძელ დინგიანი ძაღლი, სიცხის ბუღით გალექებული, ეელზე თოკ-ამობმული ვაინახრობით მისდევდა ის ვიღაც მტარვალს და ფეხები უკან რჩებოდა..

ოთხფეხმა სუდგამს მიულაქუცა, თითქო მისგან სიბრალულსა და თავისუფლების მინიჭებას ითხოვდა. გრუზა ბალანი მტვერში ამოგანგლოდა, გამშრალი ენა გარედ გამოეგდო და ქაქანებდა..

შეებრალა ჰირუტუკი სუდგამს და შეეკითხა ჰატრონს, თუ რა ფასად გაიმეტებდა იგი მას?—ას ვერცხლად!—მიუგო დაცინვის კილოთი ძაღლის ჰატრონმა, თუმცა სრულიადაც არ ჭქონდა მას, რასაკვირველია, ამოდენა ფულის მიღების იმედი გამვალტუავებულ ძაღლის ფაასდ.

სუდგამმა სიამოვნებით ჩაუთვალა მოთხოვნილი ფული და სთხოვა რომ ძაღლი დედამისისათვის მიეეგანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დარწმუნებული ვარ მეგობარო, რომ მოვა დრო და სამაგიეროს გადამიხთიო! ჯერ კი სანამ ჩემს მიზანს მივაღწევდე, დედაჩემს უპატრონეო,—მიუალერსა სუდგამმა ძაღლს და თავზე ხელი გადაუსვა,

ძაღლი გამეიდვილმა ნაჩვენებ ბინისკენ წაიყვანა, ხოლო სუდგამი თავის გზას გუდგა გაირა მანძილი და შემოეყარა წინ ინდოელი, იმის ზურგზე წამოკიდებულ ტომრიდან მოისმა რაღაც გულშემზარავი ჩხავილი. გამოირკვა, რომ ინდოელს კატა მიჰყავდა გასატყავებლად, რომ ტყავი გაეყიდნა.

—ცოცხალს რა ფასად გაიმეტებდი მაგ კატასაო,—ჰკითხა სუდგამმა.

ინდოელი შეჩერდა, ჩამოიღო მხრიდან ტომარა და პირი მოხსნა. დატყვევებული კატუნა, ფეხზე ბაწარ-მობმული, იმ წამსვე ამოძვრა, სუდგამს მხარზე შეასტა და ალერსიანად შეჰკრუტუნა.

ინდოელმა კატა ორმოცდაათ ვერცხლად დაუფასა.

—ორ მაგდენსაც სიამოვნებით მოგცემ მაგის სიცოცხლის დასახსნელადაო!—უთხრა ემაწვილმა და ჩაუთვალა ასი ვერცხლის ფული.

კატა გამეიდვილს სუდგამმა თავის დედასთან გაატანა, თვითონ კი გზას გაუდგა.

შებინდდა. სუდგამმა ქალაქს მიატანა და დასვენება მოინდომა. მაგრამ ახლა კიდევ შესვდა ვიღაც ემაწვილი კაცი ზურგზე წამოეკიდა „ძუნგო“ (დედოფალა, ან თრითინას მსგავსი ნადირი) და გაჩქარებული სადღაც მიარბენინებდა. ჰაწია ნადირს პირი ბაწრით ჰქონდა შეკრული. სუდგამმა ემაწვილი შეაჩერა და ნადირის კრიჭის შეკრის მიზეზი ჰკითხა.

—მე მაგან მიებინა და სამაგიეროდ თუ წუალში არ დავახრჩვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალა ბიჭი ვარო,—მიუო უმაწვილმა

—მეგობარო! ეოველი არსება ბუნების მიერ მინიჭებულ იარაღს სმარობს თავდასაცველად, და იმის გულისათვის სასტიკი შურის ძიება რა საკადრისია. მიჭვარე ცოცხალი დედაჩემს და ას ვერცხლს მოგცემო,—გამოესარჩლა ნადირს სუდგამი და ჯალათს ჩანთიდან უკანასკვნელი ფულები ჩაუთვალა.

ძაღლი, კატა და მუნგო სუდგამის დედას მიუეანეს ზედი ზედ და ეოველივე უამბეს სათითოდ. შვილის ასეთი გულკეთილობა, ჰირუტეეთა სიბრალული და მფარველობა დედას ფრიად ესიამოვნა; ჰირუტეეები სიხარულით მიიღო და დედობრივი მზრუნველობა გაუწია.

ჯიბე-ცარიელი სუდგამი ახლა შარა-გზაზე დარჩა ულუკმა ჰურად და უბინაოდ, მაგრამ იგი მაინც გახარებული იეო, რომ უსამართლოდ დაბრიეეებული და განწირული სამი შვილი უზენაესისა ტანჯვა-სიკდილისაგან დაიხსნა.

დრო სწრაფად გადიოდა. სანამ სუდგამი გულმოდგინედ სწავლობდა მამის მეგობრებთან, ძაღლი და კატა ქვრივს ისე შეეთვისნენ რომ თვალ-წარბში შესცქეროდნენ და უკან დასდევდნენ. მხოლდ ,,მუნგო'' გამოდგა შეუთვისებელი სასიათისა; ვერაფრით ვერ შეიჩვია ის ადამიანმა და დიდ გაჭირებაშიც ჩააგდო: ჰირუტეეი არც სჭამდა, არც სიახლოვეს არ იკარებდა ქვრივს და თავისი ველური ქცევა-სასიათით შიშის-ზარსაც ჭვრიდა მარტოხელ ადამიანს. ასეთი შიში ჰატარა ნადირისადმი მანდილოსანმა შესჩივლა ქურუმს (ინდოელების სასულიერო ჰირია), ქურუმმა ასე დაარიგა:

— დაუბრუნე ნადირს თავისუფლება და მოსვენებული იქნებიო, შენი შვილი არასოდეს არ ინდომებს, რომ დედამისი შიშ ქვეშ იმეოფებოდეს! მუნგოს ფიქრი და სურვილი შენი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორებაა; დედინაცვლური ზრუნვა და მოვლა მისთვის ტანჯვაა და თავისუფლებისთვის იბრძვის. მას თავისიანებთან ეოფნა ურჩევნია ტყეში: „თხას თხა ურჩევნია ათას სულს ცხვარსაო“ ქურუმის რჩევა დედაკაცს მოეწონა და მუნგოს თავისუფლება მიანიჭა.

ბატარა ნადირმა შეიკუნტრუშა, მხიარულად მოჭკურცხლა და თავის საგვარეულოს შეუერთდა ბუნების წიაღში...

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი

II

ჩვენი ქალაქი და მცხოვრებლები.

მუშაობა ქალაქში — მენაგვეები. — სურნელოვანი ჭია. — სტუმრად დედასთან. — ჩვენი გასართობი.

ავიდა რამოდენიმე დღე. საკმაოდ გავმაგრდი. ვხედავდი ჩემ ძმებს დილიდან საღამოამდის მუშაობაში გართულებს და მეც მომინდა რამე მუშაობის დაწყება. მშიოდა. გამდელი რომ არ შემეწუხებინა, თვითონ წავედი საჭმელის საშოვარად. მუყაითმა გამდელმა შეამზნია ჩემი სურვილი და თავის ჰირით მომაწოდა წებოს მსგავსი ტკბილი წვენი. დიდი სიამოვნებით ვსვამდი წვენს და თანაც ვგრძნობდი, რომ თვითეული წვეთი ღონეს მმატებდა.

— აბა კმარა, გეყოფა. მოდი ფეხები გაგისწორო, სურგი დაგიზილო... ახლა წადი, ისეირნე, მაგრამ არ გაბედო და საბავშო ოთახს არ გასცილდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავჭიმე ფეხი,—ჯერ ერთი, მერე მეორე; ვიგრძენ, რომ თავისუფალი სიარული შემეძლო და შეუდექი საბავშო ოთახის დათვალიერებას. ეს იყო ვეებერთელა მოედანი, სადაც ვიუავით თავ-მოყრილი ყველა ახალ გამოჩეკილნი და გვერდი-გვერდ ვიწევით. ძიძები გაფაციცებით საჭმელს ურიგებდნენ ჰატარებს: ხან ერთთან მიირბენდენ, და ხან მეორესთან. ვისარგებლე ამით, შეუმჩნეველად გავიპარე, გავედი მეორე ქუჩაში და დავიწყე ხეტიალი ჩემ საშობლო ქალაქში.

ყველაფერმა, რაც იქ ვნახე, ძალიან გამაკვირვა. სრულებით არ მოველოდი, რომ ჩვენ ასეთი ვეებერთელა ქალაქი გვქონდა.

მრავალ ძიძებს გადაჰქონდათ ფუმფლები ერთი ადგილიდან მეორეზე.

ჩვენი ქალაქი აშენებული იყო დიდი და ჰატარა კუნძებისაგან, ფოთლებისაგან და ფიჭვებისაგან. ბევრი ქუჩები იყო შიგ. ქალაქი განიყოფებოდა ზედა, შუა და ქვედა ქალაქად.

დავდიოდი ქუჩა-ქუჩა და ვხედავდი, როგორ ელაგა დიდ მოედნებზე ფუმფლები, კვერცხები და საზამთრო სურსათი. ვეებერთელა ქალაქში დიდი მოძრაობა იყო. მრავალი ძიძები დარბოდნენ ახალ დაბადებულთათვის საჭმლის მოსატანად; მრავალ გამდლებს გადაჰქონდათ ფუმფლები ერთი ალაგიდან მეორეზე, ანაწილებდენ ხნოვანების მიხედვით, როგორც სკოლებსოლმე; ყველა ხვა-და-ხვა კლასებში იყვნენ მოთავსებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნი. ათასი მუშა-ქალები ზამთრის სურსათის სამზადისში იყვნენ გართულნი. ყველაფერს ვათვალიერებდი ცნობის მოყვარეობით. აი ერთი გამდელი ვეებერთელა ჰარკს მიათრევს; გასავალში შემხვდა, ვერ შემამჩნია, და ისე დამეტაკა, რომ ძირს ჩამაკოტრიალა.

—აჰა, დაეხეტება უსაქმოდ! კინაღამ ბავშვი არ მომაკვლევინა!... მერე ვინ გიშვებთ, ნეტავი! დამჯდარიყავი ოთახში, თუ ჯერ მუშაობა არ შეგიძლია.

მე მაშინვე მასთან მივირბინე, მინდოდა ჰარკის გადატანაში დავხმარებოდი.

—რაო? რაო? ბავშს რამეს ატკენ. წადი სახლში, რა შეგიძლია, სხეული ჯერ სუსტი გაქვს: ჯერ გამაგრდი და მერე მოჰკიდე ხელი მუშაობას... აი ძიძა მოდის; წადი მასთან, საჭმელს გაჭმევს და ბავშვების ოთახში წაგიყვანს.

მე სწრაფად მივაშურე ძიძას. საშინლად მშიოდა, და ულვაშებით თაფლი ვსთხოვე.

—შენთვის კი არ მომაქვს, ცეტო, მაგრამ, არა უშავსრა, იგემე და შინისკენ გაეჩქარე, თორემ უცაბედათ არაფერი იტკინო და თავი არ დაიმახინჯო.

—მე, ძიძა, მარტო ქვედა ქალაქში ჩავალ, ჩემს მშობლებს ვანახავ.

და რომ არ დაეჭირე ძიძას და საბავშო ოთახში არ წავეყვანე, სწრაფად გავიქეცი...

აქ ეოველ ფეხის გადადგმაზე რაღაც უცნაური არსებანი მხვდებოდნენ; მეგონა მტრები თავს დაგვესხნენ და ვაჰირებდი შეტაკებას, მაგრამ შევამჩნიე, რომ უფროსები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, და მეც თავი დავანებე. შემდეგ გავიგე, რომ ისინი მენაგვეები იყვნენ და ჩვენს ქალაქს ასუფთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდნენ. ჩვენ მაგივრად ბინძურ საქმეებს ისინი აკეთებდნენ და მთელ ქალაქს სუფთად ინახავდნენ.

ზოგიერთ ქუჩებში მეტად საამური სუნი იდგა. დიდი სიამოვნებით ვენოსავდი; დავიხარე და მიგხვდი, რომ სუნი ბატარა ჭიას ჰქონდა. ეს ჭიები ჩვენი ნასუფრალით იკვებებოდნენ. ჭიები ჩვენ ქალაქში რომ შემოვიდოდნენ, სამუდამოთ ჩვენთან რჩებოდნენ; მოსწონდათ ჩვენთან ცხოვრება. ჩვენც არ ვდევნიდით და ჩვენთან ცხოვრების ნებას ვაძლევდით, რადგანაც მათი საამური სუნი მოგვწონდა.

ქვედა ქალაქში ჩავედი. ერთი ქუჩა გავიარე, მინდოდა მოედანზე გამოსვლა; ამ დროს ჩემ წინ ბუზანკალი გაჩნდა. ის ნამდვილი ბუზანკალი იყო! მე შემეშინდა, ვიფიქრე ვიღუბებიმეთქი. ჩემი სხეული ჯერჯერობით ნახი იყო, ბუზანკალი კი ღონიერი სჩანდა. თავზარი დამეცა, თავს დამეცემოდა მეგონა; მაგრამ ბუზანკალმა გვერდი ამიარა. მე იქავე სვეტის უკან მივიმალე და გზა დავუთმე.

ძლივს დამალვა მოვასწარი, როცა დავინახე, ჩემი გამდელი მორბოდა; თურმე დიდი ხანია დამეძებდა. ბუზანკალი მასთან მიცოცდა და საჭმელი სთხოვა. გამდელმა აჭამა; მე ძალიან გამიკვირდა.*)



ბუზანკალი ძიძასთან მიცოცდა
და საჭმელი სთხოვა.

ველარ მოვითმინე, საფარიდან გამოვხტი, რომ მეც საჭმელი

*) ამ ბუზანკალს ყვითელ ბრმას ანუ ქინძისთავას ეძახიან. ბრმები არიან. ამ ჭიების ჯირყვლებიდან ტკბილი, წებოსავით წვენი გამოდის და ბალანს უსველებს. ჭიანჭველები ამ წვენს ლოკავენ და სასარგებლოდ სთვლიან ამ ბუზანკალების მოვლას და საჭმლის ჭმევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგემა; გამდელმა მაშინვე დამიჭირა და ზევით წამიყვანა. ძალა მოვიკრიბე და ფართხალი დავიწყე. გამდელს ებებიდან გამოუსხლტი და ქვევით გავიქეცი.

— რა ღონიერია ეს ცეტი! მაგრამ არა უშავს, ღიდხანს ველარ ისეირნებ, ჩაუვარდები ხელში დეიდას.

ბოლოს ჩემი მშობლები ვნახე: ერთბაშად ვერ ვიცანი! საკვირველია, მამაჩემს ფრთები ესხა. მე საშინლად შემეხარბა, რატომ მეც ფრთები არ მაქვს-მეთქი! მეც მინდოდა ჰაერში ფრენა. სამაგიეროდ მამას ჩემსავით მაგარი ებები არ ჰქონდა და საბრალოს მუშაობაც არ შეეძლო.

ბოლოს შევდგი ფეხი ჩვენი დედების წმინდა საცხოვრებელში. ეს იყო თითქმის მიწის ქვეშ. დიდ მოედანზე დიდძალი ხალხი ირეოდა: ყველა საქმეში იყო გართული, ყველა რამეზე ზრუნავდა. დედოფლები-დედები სხვა-და-სხვა ადგილას კვერცხებს სდებდნენ. ირგვლივ დარაჯები ჰყავდათ შემორტყმული. აქ წინ წასვლის ნება აღარ მოგცეს. თითოეული დედა საათში ათას კვერცხსა სდებდა. უკან გამდლები დასდევდნენ და კვერცხებს გროვა-გროვად აწყობდნენ.

გამდლის დაუხმარებლად დედა ჩემი ვერ ვიცანი: არასოდეს არ მინახავს დედა. საეჭვო იყო გამდელსაც ეცნო: იმდენ კვერცხს სდებდნენ ისინი. უეცრად ერთმა დედამ დამინახა, სწრაფად დამიქნია ულვაშები და დიდი ფრთები.

— ეს რა ამბავია? როგორ გაჩნდა აქ ახალ დაბადებული ცეტი? გამდლებო თქვენ ასე უვლით ბავშვებს? ბავშვები ასე დაეხეტებიან უპატრონოდ ქალაქში, მერე უბედურება რომ შეემთხვევს? რა უწესოებაა! ამ წუთში საბავშო ოთახში წაიყვანეთ ეს ცეტი და ბებერ გადიას ჩააგონეთ პატარებს ბეჯითად ადევნოს თვალყური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტეუილად ნუ სწუხსართ და ნუ ღელავთ, ეს თქვენთვის მავნებელია დედილო, პატარა ხომ აღარ ვარ, ხვალ სამუშაოდ გამოვალ.

— წადი სახლში. ძალიან მუშა კი არის!

— ნახვამდის, ძვირფასო დედა, გისურვებ მრავალი კვერცხი დასდო,—და მე, როგორც ეოჩაღმა რაინდმა მოწიწებით თავი დაუკარი და გავწიე შინისაკენ.

ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი ზევით. შიმშილი უკვე მაწუხებდა ის იეო საბავშვო ოთახს მივაღწიე, როდესაც ჩემი ამხანაგი ჭერკულესი შემხვდა. ის ზევით სახურავზე მიიპარებოდა.

— ჭერკულესო, სად მიდისარ?

— აჭ, ცეტო, შენ? სად იყავი? გამდლები ეველგან დაგეძებენ!

— ოჭ, ძმაო, მთელი ქალაქი დავიარე. დედასთან ვიყავი, კვერცხების გადატანაში დავეხმარე.

— რა ეოჩაღი სარ! მე კი ზევით მივმვრები, მინდა მზეზე დავჯდე და სუფთა ჭაერი ჩავეულაპო.

— რა კარგი მოგიფიქრია! გავიქცეთ ერთად.

და ორივემ უმთავრესი ქუჩით ზევითკენ გავექანეთ.

— ალაეაფის კარები რომ დაკეტილი დაგვხვდეს?

— არა, ესეცაა ზევით პაწიები წაასხეს, ალაეაფის კარები ღია უნდა იეოს.

სირბილით გავექანეთ და როგორც იეო მივახწიეთ ალაეაფის კარებს. კარები ღია იეო, და ქალაქის თავზე ავმვერით.

ბრწყინვალე მზე იეო. თბილი და წყნარი დღე იდგა. კვარის სუნი გვეცა. მე და ჭერკულესი გავიშლართეთ და ბუნების მშვენიერებას შევხაროდით. აქ რამდენიმე ჩვენი ხნის ამხანაგები დაგხვდნენ და ერთი ალიაქოთი ავტეხეთ. ზოგი ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთს დასაჭერად მისდევდნენ, ზოგი მალულობიას თამაშობდნენ, ზოგი კიდევ უკანა ფეხებზე მარჯვედ ჯდებოდნენ. მე და ჰერკულესმა ჭიდაობა დავიწყეთ: ჰერკულესმა დამძლია.

ისე გავერთეთ ჭიდაობაში, რომ ყველაფერი დაგვავიწყდა! და კინადამ არ გავჭულიტეთ იქავე დაწვენილი ჰატარები.

ისე გავერთეთ ჭიდაობაში, რომ ყველაფერი დაგვავიწყდა.

— სათამაშო ადგილი ნახეს! დაიკარგეთ აქედან!—გვიჯავრდებოდა გამდელი.

— აჰა, ხომ დაგიჭირე, ცეტო! სად მოსულა: ქვედა ქალაქიდან სულ ზევით; ასე თუ გასტანა, ტყეშიც გაიპარები? არა, ძმაო, ჯერ შენთვის ადრეა თავისუფლად სეირნობა. უბედურება რამ რომ შეგემთხვევა.—ამ სიტყვებით გამდელმა მარდად მტაცა ებები და შინ წამათრია.

— გადია, გენაცვალე, ვისეირნებ კიდევ ცოტას, ვითამაშებ მზეზე!

— არა, ძმაო, არა! შენი გულისათვის უკვე დედამ დაგვტუქსა. შენ ძიძას მოსწყინდა უშენოთ, ყველგან დაგეძებს, შენ კი აი სად ყოფილხარ! ხომ ისეირნე: ადარ გეეოფა? აჰა; ჰერკულესიც დაუჭერიათ. შესედე, როგორ მიათრევს შინ ორი გამდელი შენ ამხანაგს ჰერკულესს!

ბევრი ვიფართხალეთ, ბევრჯერ კუნძებს მივაბჯინეთ ფეხები, გვინდოდა წინააღმდეგობა გაგვეწია, მაგრამ ვერას გავხდით მე და ჰერკულესი. გამოცდილმა გამდელებმა მშვიდობით მიგვათრიეს საბავშვო ოთახამდის და ჩვენ ძიძებს ჩაგვაბარეს ხელში. კეთილმა ძიძებმა ცოტათი დაგვტუქსეს გაპარვისთვის, მერე საჭმელი გვაჭამეს და დაგვაწვინეს დასაძინებლად.

(შემდეგი იქნება.)

კაკი.

პატარა მეყვავილე.

ეს პატარა გოგონა,
ცელქი, ცქრიალა, ნარნარა,
მთის შუქზე მარდი, კისკასა,
ვით კლდის ნაკადი ანკარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უშინდება ქალაქის
ხმაურს, გუგუნს და გრიალსა;
ფესვმარდად მიჭრის ქუჩაზე,
ზეცას შესტეორცნის ტრფიალსა.

ხელში უჭირავს კალათი
ფერადი ყვავილებითა
და შორს გასძახის ზარის ხმით,
მზიურ თვალების ნთებითა:

— ინებეთ ვარდი, ნარგიზი,
ია, სუმბული, ენძელა...
მინდვრის ჟუჟუნა ბიბილა,
ერთად შვენიან ხუეველა.

ინებეთ, თქვენი ჭირიმე,
თქვენი მშობლების ლხენასა...
ჭა, მშვენიერი რამ არის,
თვალი ვერ უძლებს ცქერასა.

ჭკონავს და აწვდის გამეფლელებს,
მირბის და მიუსარია.
ტიკტიკებს, ლოცავს გაზაფხულს,
ციურ ოცნებით მთვრალია.

ღმერთო, ეს ტურფა გოგონა
მიცოცხლე მხიარულადა,
რომ მე მის სახეს ვხატავდე
ცხოვრების თაიგულადა.

მიმქრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქცეულები.

ბუაღამე გადასულია. რუსთაველის პროსპექტზე თითო-ორო-ლა მგზავრი-და მიღანღალებს შინისკენ არჩდილივით. შუა ქუ-ჩაში მილიციონერი თოფის ტუჩზე ჩამოკიდულა ნიკაპით და, წელში დაგრეხილს, ნახევრადა სძინავს.

ქუჩისა და ქუჩის კუთხეში, ერთ „ფინჯან—ჩაის" შესაფალში სძინავს მოკრუნჩხულ ბავშვს. მეორე ბავშვი, როგორც უკა-ნასკნელი მგზავრები, მარტო მიდის გულხელ-დაკრეფით, ოღონ ის ყველაზე ნელა და დაფიქრებული მიდის, რადგანაც სახლში არ ეჩქარება; უცბად იგი დაინახავს „ფინჯან—ჩაის" შესაფალსა და შედგება:

— აი მოვსულვარ კიდეც ჩემ ბინაზე,—იტყვის იგი, შემ-დეგ შეკა და როცა დააკვირდება, დაინახავს რომ იქ, სხვა წევს. განცვიფრებული წამოიძახებს: „ეს ვინ მოსულა ჩემს ალაგზე"? მწოლიარეს გამოეღვიძება და ისიც განცვიფრებული შეჰხედავს მოსულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ვინა ხარ!—ჰკითხავს მოსული.

— გამოქცეული ვარ... დაჯექი ვილაპარაკოთ, ადარ მეძინება... შენ ვიდა ხარ?

— მეც გამოქცეული ვარ,—მიუგებს მოსული.

სიჩუმემ ჩამოიარა.

დაჯდა მოსული და განაგრძეს ბაასი.

— შენ საიდან გამოიქეცი?—ჰკითხა მოსულმა.

— არ ვიცი, ბოლო დროს საიდან გამოვიქეცი; პირველად რომ გამოვიქეცით, მაშინ პატარა ვიუავი, არ მახსოვს; დედაჩემი და მამაჩემი გამოიქცნენ, მეც თან წამომიყვანეს და მერე მეორედ რომ გამოვიქეცით, ისინი თათრებმა დახოცეს, მე მაუვლებში შევმვერი და გადავრჩი... შენ რა გქვიან?

— თაქუ. შენ რადა გქვიან?

— აშხენ... შენ ბიჭი ხარ?

— ჰო.

— მე კიდევ გოგო,—სთქვა აშხენმა.

სიჩუმემ ჩამოიარა.

— თაქუ.

— რა გინდა აშხენ.

— შენ საიდან და გამოიქეცი?

— მე?

— ჰო.

— არც მე მახსოვს. მეც პატარა ვიუავი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ დედაჩემმა ზურგზე ამიკიდა და გამოვიქეცით. მერე მდინარეში გამოვიარეთ, დედაჩემი კინაღამ არ დაიხრჩო; იქ ცოდა და კლდეები იუო... სხვა არაფერი მახსოვს.

კიდევ სიჩუმემ ჩამოიარა.

— შენ მშიერი არა ხარ თაქუ?—ჰკითხა აშხენმა და ჯიბიდან საზამთროს ქერქი ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიანა მშიან, ძალიან: რო მეძინა მომშივნია. დღეს არაფინ არაფერი მაჭამა, არც ფული მაჩუქეს. მილიციონერმა ორჯელა მცემა, ხალხს ნუ აწუხებო.

ისევ სიჩუმემ ჩამოიარა.

აშხენმა გემრიელად ჩაახრამუნა სასამთროს ქერქის ნაჭერი და, როცა სულ გაათავა, ორივენი მიწვნენ და ტკბილად დაიძინეს.

ხალხი მთლად მისწედა. მგზავრები აღარსად სჩანდენ ქუჩებში, მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე აქა-იქ მოსჩანდნენ თოფის ტუჩზე ნიკაპით ჩამოკიდული მილიციონერები, რომელთაც ნახევრად ეძინათ.

—

— აშხენ, ერთად ვიაროთ მე და შენ,—უთხრა თაქუმ აშხენს, როცა გაეღვიძათ დილა-ადრიანად.

— ვიაროთ!—დაეთანხმა აშხენი და ორივემ გასწიეს რუსთველის პროსპექტით.

ჯერ დილა იყო ისევ. მუშები საამუშაოსკენ მიეჩქარებოდნენ და მზარეულები ბაზრისაკენ; რადგანაც ამნაირი ხალხი ბევრად სახეირო არ იყო მათთვის, არც არაფერს გამოელოდნენ მათგან და არც დრო იყო საამუშაოზე მიმავალ ხალხს წინ გადასდგომოდნენ. წავიდნენ ორივენი და ბაღში დასხდნენ. ერთმანეთისთვის ხმა არ გაუცია თ. ორივენი ჩუმად ისხდნენ ეელგადაგდებულები და მოწყენით შეჰყურებდნენ ცას. აშხენი უცბად წამოხტა და გაიქცა, თაქუს გაუკვირდა ასე უცბად რომ გაიქცა აშხენი, მაგრამ თვითონაც დაედევნა. როცა ისევ რუსთაველის პროსპექტზე გავიდნენ თაქუმ ჰკითხა:

— რად მირბიხარ აშხენ?

აშხენმა უკან მოიხედა და, როცა ნახა, არავინ მისდევდა, თავისუფლად ამოისუნთქა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მებაღე მოდიოდა ჩვენკენ.

— მერე რა არის რო მოდიოდა?

— გუშინ იქ ერთი ვარდი მოვწევიტე, დამინახა და გამოიდგა, მაგრამ ვერ დამეწია. მე ის ვარდი გავეიდე.

— ჰოო, მაშ წამო, წამო, არ დაგვინახოს.

ორივენი აჩქარებით წავიდნენ რუსთაველის პროსპექტით.

ამასობაში უსაქმო ხალხიც გამოსულიყო პროსპექტზე სახეტიალოდ და დაიწყეს ორივემ თხოვნა. ხან ერთს ეღირჯებოდნენ და ხან მეორეს. აშხენ მღეროდა და ისე თხოულობდა მოწყალებას; გარდა იმისა რომ სიმღერა იცოდა აშხენმა, ლამაზი ბავშვი იყო, სუფთადაც ეცვა და ხალხი მას უფრო აძლევდა მოწყალებას, ვიდრე თაქუს. თაქუს გული გაუტყდა, რომ არავინ არაფერსა სწყალობდა, მხოლოდ უკან მისდევდა აშხენს და თავის თვალითა ჭვდავდა თავის უბედობას და აშხენის ბედნიერებას. ბოლოს ბრაზი მოუვიდა თაქუსა და უთხრა აშხენს:

— შენ ჩემთან აღარ იარო.

— რატომ, თაქუ, შენ თვითონ არა სთქვი, ერთად ვიარეთ? რატომ აღარ უნდა ვიაროთ ერთად?

— იმიტომ რომ როცა შენ ჩემთანა ხარ, სულ შენ გაძლევენ მოწყალებას და მე ზედაც არავინ მიეურებს, თუმცა მე შენზე ღარიბი ვარ! აგერ, შენ რა ლამაზი ტანისამოსი გაცვია! შენ ჩუსტებიც კი გაქვს და მე სულ ტიტვლიკანა ვარ!

— აჭა, აი, მე შენ გაჩუქებ! როცა მე მაჩუქებენ, მე შენ გაჩუქებ, გინდა თაქუ?

— ოჭ, რა გულკეთილი ხარ, აშხენ, რა გულკეთილი!

— ჰო და გინდა ასე უყოთ: რასაც მე ავიღებ სულ შუაზედ გავყოთ ხოლმე, გინდა თაქუ?

— ოჭ, რა გულკეთილი ხარ აშხენ, რა გულკეთილი, სულ ერთად ვიაროთ! — უთხრა თაქუმ და განაგრძეს გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ძალიან მოშიოდათ, ორივენი სტუდენტთა სასადილოს კარებთან იდგნენ; სასადილოს უფალნი რომ იქით წავიდოდნენ სტუმრებისათვის სადილის მოსატანად, ისინი შეცვივდებოდნენ სასადილოში და ხალხსა სთხოვდნენ ჰურის ნატეხს, ხოლო როცა სასადილოს უფალნი ისევ გამოჩდებოდნენ, ისინი შეშინებულები გამოცვივდებოდნენ ხოლმე გარედ.

ბევრი ელრიჯნენ, ბევრი ითხოვეს, მაგრამ არავინ არაფერი არ გაიმეტა მათთვის; ბოლოს თაქუმ დაინახა, რომ ერთი სტუმარი ადგა სუფრიდან და წელის დასალევად წავიდა, ამ დროს გაქანდა თაქუ, დასტაცა სუფრაზე თეთრ ჰურს ხელი და გაიქცა; სასადილოს უფალი გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია; თაქუმ და აშხენმა ვიწრო ქუჩებს შეაფარეს თავი. როცა საშეიდობოში გამოვიდნენ და დაისვენეს, თაქუმ ჰურს ჯამა დაუწეო.

— მეც მომიტეხე, თაქუ,—უთხრა აშხენმა.

— მე ძალიანა მშიან, არ მეეოფა.

აშხენი დაღონდა.

— რა ბოროტი ჭეოფილხარ თაქუ: მე როცა მქონდა სულ მუდამ შუაზედ გაგიეოფდი ხოლმე და შენ კი მგელივით ხარ ბი ხარ... ცოტა მომიტეხე, მეც ძალიანა მშიან.

თაქუ ჩუმად განაგრძობდა ჯამას და ბოლოს, როცა დაატეო, ვძღებიო, მოუტეხა, მაგრამ ცოტა მოუტეხა და გაბრაზებით უთხრა:

— აჭა, ჯამე... ჩამაცივდები ხოლმე!

ისევ რუსთაველის ბროსპექტზე მიდიოდნენ.

კვირა დღე იეო.

— დღეს არავის არა მოუცია-რა. ისე მშიან, ისე მშიან, რომ კუჭი მეწვის,—სთქვა თაქუმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც აგრე,—იჩივლა აშხენმა.

— წამო ნაგვის უუთი გავქექოთ, აშხენ, იქ ვნახავთ რამეს.

მაგრამ ამ დროს უცბად გამოჩნდა ქუჩაში მიმავალი ჯარი, რომელიც მუსიკას უკრავდა და მწუობრად სადღაც მიდიოდა.

ორივენი იქითკენ გაიქცნენ.

ჯარი რკინის გზის სადგურამდე გაეცილეს და ერთხელაც აღარ მოჭვონებიათ შიმშილი.

სადგურზე რაღაცა ამბავი იყო: ჯარი გამწკრივდა, თოფები, ერთნაირად დაიჭირეს, ამ დროს ვაგონიდან ვიღაცა ჩამოვიდა, რომლის დანახვაზე მუსიკამ დაუკრა მისაგებებელი; მერე იმ კაცმა სიტყვა უთხრა ჯარს, ჯარის მხრიდანაც ვიღაცამ სიტყვა უთხრა ვაგონიდან ჩამოსულს; თაქუ და აშხენი კი შიგ ცხვირწინ ედგნენ გამწკრივებულ ჯარისკაცებს და დინჯით შეჰყურებდნენ. ეს რომ მილიციონერმა დაინახა, გამოუდგა და შეშინებული თაქუ და აშხენი რომელიღაც ვაგონში შეეგრნენ. ჯარი უკანვე დაბრუნდა, ვაგზალი დაცალიერდა და ის მატარებელი, რომლის ერთ-ერთ ვაგონში თაქუ და აშხენი დაემალნენ მილიციონერს, დაიძრა და თან წაიყვანა ისინი... მაგრამ საით?

არავინ იცის!.

შემდეგ ისინი მე აღარ მინახავს.

ი. მჭედლიშვილი.

დაიკარგა აქლემი.

ეო და არა იეორა, იეო სამი ძმა: ერთი—მსვნელი, მეორე—თერძი, და მესამე—ფეიქარი. მსვნელს მოუკვდა მეუღლე და სთქვა: უნდა სხვა ცოლი შევირთოო.

ძმებმა უთხრეს:-თუ გინდა ჩვენ თვითონ მოგიყვანთო, და მოუყვანეს ერთი სულელი ბებერი ქალი. ამ კაცმაც ჯვარი დაიწერა. სწორედ იმ დროს ჩამოიარა ერთმა დატვირთულმა აქლემმა. ძმებმა დაიჭირეს და ტვირთი ჩამოხსნეს, აქლემი დაჭკლეს და გადაკვდეს. მერე დაადგნენ თავთავის საქმეს: მსვნელი სნავდა; თერძი—ჭყერავდა, და ფეიქარი—ქსელავდა. ჰირობა დასდეს: თუ აქლემის ჰატრონი ჩამოიეკლის, არეულად ველაპარაკოთო.

მეორე დღეს ჩამოიარა მეაქლემემ, მივიდა მსვნელთან და უთხრა: გამარჯობა ეროსტისო

ამან უთხრა:

— ახლა ვთესავო.

მეაქლემემ იფიქრა—ეური მატეუებსო და მეორედ უთხრა:

—აქლემი დამეკარგა, და ხომ არ გინახავსო?

მან უთხრა:

— რომ არ წვიმდეს, ბევრს მოვსნავდიო.

მეაქლემემ უთხრა:

— მე აქლემს გკითხავო, აქლემსო.

მან უთხრა:

—ნიკორას ფესი სტკივაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუვიდა გული აქლემის პატრონს და წავიდა. მივიდა თერმთან და უთხრა:—გამარჯობა სოფრომასო!

მან უთხრა:—ჩემ მანქანას ხელი აქვს მოტეხილიო.

მეაქლემემ უთხრა:

— აქლემს ვეძებო.

მან უთხრა:

— მაკრატელი გამიტუდაო.

— აქლემს ვეძებ, აქლემსო!

მან უთხრა:—ჩემი არ არის, თორემ მოგეიდდიო.

შემოსწერა მეაქლემე და წავიდა. მივიდა ფეიქართან.

— გამარჯობა სილოვანსო!

ფეიქარმა უთხრა:

— ეს ოხრები მალმალე მიგზავნიან საქმეს: ხელები მეტკინაი

მეაქლემემ უთხრა:—მე აქლემს გკითხავო!

იმან უთხრა:—ჩემი ხელფასი ექვსი შაურიაო!

მოუვიდა გული და ისიც მიატოვა.

გაიარა ცოტა და ნახა მხვნელის ცოლი, მოხუცებული ბებერი მოცოცავდა. ბებერს ჰკითხა? აქლემის ხომ არა იცი რაო? ბებერმა რაც იცოდა-ყველაფერი უამბო:

— ჩვენ კარებზე ჩამოიარა ერთმა დატვირთულმა აქლემმა. ჩემმა ქმარმა და მაზლებმა დაიჭირეს, რაც ზედ ეკიდა, ჩამოხსნეს და დამალეს; აქლემი დაჭკლეს და გადაყარეს.

გაკვირებულმა მეაქლემემ ჰკითხა:—როდის იყო ესაო?

ბებერმა უთხრა:

— სწორედ ჩემი ქორწილის ღამეს იყოვო.

მეაქლემე გაჯავრდა:

— მე აქლემი გუშინ დამეკარგა, ეს კი თავის ქორწილის ამბავს მეუბნებაო და გაუდგა გზას.

ასე დაიკარგა აქლემი.

პავლე აბულაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი მგზავრობა საღორიის ტყეში.

ხუთშაბათ დილას, შედავათიან დღეს, მასწავლებლებმა საღორის ტყეში სასეირნოდ წაგვიყვანა. როცა მივედით, ვითამეთ, ვიცეკვავეთ, შემდეგ გადავედით მეორე ალაგას, ჩრდილში დავსხედით და საუზმე ვჭამეთ. როცა საუზმე გავათავეთ, რკინის ზის პირად დავჯექით. აქ მასწავლებელმა წაგვიკითხა „ტყის ზღაპარი“, რომლიდანაც ჩვენ გავიგეთ ნაძვების თავ, გადასავალ, როგორ სჭრიან ძათ შეშისათვის, როგორ იტანჯებიან ამაც გამო ისინი, როგორ ებრძოდნენ ასალგაზდა ნაძვები სხვა ხეებს: ფიჭვს, ხეურუასა და ვერხვს, რომლებიც უშლიდნენ მაც გაზრდას თავის მშობელ მიწაზე.

გავიგეთ კიდევ, რომ ხეებსაც ისე უნდათ სიცოცხლე, როგორც ადამიანებს. ძლიერ გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, რომ მცენარეებსა და ხეებს ტყეში და მინდვრებში ქარი და წვალი სთესავს. გავიგეთ, როგორ გაჩნდა ბებერი ნაძვი ტყეში, როგორ ჩამოიტანა მთიდან თრითინამ ნაძვის ერთი მწიფე კინკრიჟო ბარში და ამისაგან გაჩნდა ტყე.

ძლიერ გვეწყინა ბებერი ნაძვის გარდაცვალება. დაგვაღონა ადამიანების ბოროტებამ, რომ ანადგურებენ ტყეებს და უშნოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოვებენ იქაურობას. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ავდექით და წამოვედით. საავადმყოფოსთან გამოვიარეთ, აქაც ვიმღერეთ და ვიცეკვეთ. რკინის გზის ლიანდაგთან რომ ჩამოვედით, მატარებელმა ჩამოიარა; იმას უყურეთ, მგზავრებს ცხვირსახოცებს და ქუდებს უქნევდით; ისინიც თავს გვიკრავდნენ. ასე ნასიამოვნები საღამოს სახლში მოვედით.

„სინათლის“ გიმნაზიის უმცროსი განყოფილების მოწაფე
ნესტან-დარეჯან იმნაძე.

რებუსები.

1) ტ ა ძ „

2) „ ნ

მე-3, 4, ნომერში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

1. ვარდისახარ, 2. ხეხილი, 3. კვირა, 4. ცოცხალი, 5. აბიათარ